

დანართი N _____

თბილისი და რეგიონები

აბონენტი _____

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

- „აქციის“ დასახელება – **ოპტიკური ინტერნეტ-მომსახურების აქცია (6 თვით)**
- **აქციის პირობები:**

1. აბონენტებისთვის, რომლებიც სარგებლობენ ოპტიკური მომსახურებებით (გარდა ოპტიკური ინტერნეტისა), წინამდებარე აქციის ფარგლებში არსებულ მომსახურებებზე, ინტერნეტ მომსახურების ან მომსახურებების (რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს) დამატება (ყველა ინტერნეტ პაკეტზე, გარდა "ფორმულა 1"-სა) 6 თვის განმავლობაში განხორციელდება არსებული ოპტიკური მომსახურებების სააბონენტო გადასახადის ფარგლებში.
2. აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტს არ ეზღუდება ინტერნეტ პაკეტის ცვლილების შესაძლებლობა;
3. აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტს არ ეზღუდება მომსახურების დროებით შეჩერების შესაძლებლობა. თუ აქციის პერიოდში არ მოხდება ანგარიშზე არსებული მომსახურებების ერთდროულად შეჩერება, აბონენტს შეეზღუდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება. ანგარიშზე არსებული მომსახურებების ერთდროულად შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ შეწყდება და შეჩერებული მომსახურებების გააქტიურებისას აბონენტზე გავრცელდება წინამდებარე აქციის პირობები (თუ მისი მოქმედების ვადა არ არის ამოწურული);
4. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აბონენტს შეუწინააღმდეგება აქციის პერიოდში შერჩეული/შეცვლილი მომსახურების პაკეტი და მოხდება აღნიშნული პაკეტის სტანდარტული ღირებულების დარიცხვა;
5. აქციის მოქმედების პერიოდში ოპტიკური სილქ ტვ-ის გაუქმების შემთხვევაში, ასევე სატელეფონო მომსახურების გაუქმების შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ანგარიშზე რჩება მხოლოდ ინტერნეტ მომსახურება, აბონენტს შეეზღუდება ინტერნეტ მომსახურებისთვის დადგენილი წინამდებარე აქციის პირობები;
6. აქციის მოქმედების პერიოდში აქციაში ჩართული მომსახურებების სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაში ჩართვის შემთხვევაში აბონენტს შეეზღუდება აქციის პირობები;
7. აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო აქციის პირობებით არჩეული მომსახურებების ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება რეგისტრაციის პერიოდის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ პაკეტზე რეგისტრაციისას ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ვერ მოხდება ოპტიკური ინტერნეტის ინსტალაცია, აბონენტზე წინამდებარე აქციის პირობები არ გავრცელდება;

შენიშვნა: _____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____